PDF Eraser Free

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ კასპის კოლეჯი მიერ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ირმა ქორთუა**

წევრები: იაზონ დანელია

კასპი 2022წ

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ----------კასპის კოლეჯი----------

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: -------სსიპ ----------

საიდენტიფიკაციო კოდი: --------[redacted]----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free

II. საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 29 დეკემბრის № 1433995 ბრძანების საფუძველზე, (ცვლილება - ბრძანება # 19955; 14.01.2022) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2022 წლის 13 იანვარს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განხორციელდა სსიპ კასპის კოლეჯის „კომპიუტერული ქსელი და სისტმები" საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა სათანადო დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და შეიმუშავა დისტანციური ვიზიტის ფარგლებში გასაუბრების განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან (როგორც დარგის ასევე ინტეგრირებულის), ბიბლიოთეკართან. ჩართვის დროს განხილული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დათვალიერებული და გადამოწმებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა, A, B, C სასწავლო გარემო.

სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვილი იქნა მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია, ხელშეკრულებები პროვაიდერებთან, ინტეგირებულის მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მიღება-ჩაბარების აქტი, კომპიუტერების კონფიგურაციები;

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“ და 2.2.1(1) კომპონენტის შესრულების უზურნველყოფის მიზნით წარმოდგენილი ჰქონდა დაწესებულებას, დირექტორის 15.11.2021 წლის N142 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free
სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები და თარიღები. აღნიშნული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით შესასრულებელი დავალებების შესრულების ვადა 2022 წლის 31 იანვარია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნის პროექტებთან დაკავშირებით სსიპ კასპის კოლეჯის არგუმენტირებულ პოზიციის (No 72999 27/01/2022) ფარგლებში, წარმოდგენილი 27.01.2022, აღნიშნულია რომ ამ ეტაპზე კოლეჯს შესყიდული აქვს და ადგილზეა C გარემოსთვის საჭირო ყველა აღჭურვილობა. კოლეჯმა ასევე წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტაციები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე 2.2.1(1) ინდიკატორით მიცემული შესაბამისობის რეკომენდაცია შესრულებულია, ექსპერტებმა ჩავთვალეთ, რადგან ადგილზე არ გვინახავს ბოლოს შესყიდული მასალები და ასევე C გარემოს მოწყობა ჯერ არ დასრულებულა, აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტიით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტების სტანდართან შესაბამისობა შეგვეფასებინა მეტწილი შესაბამისობით.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

IV. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

V დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

VI . სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free

2.2.1 (1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაწესებულებამ მოახდინოს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ C გარემოს მოწყობა და მატერიალური რესურსით აღჭურვა“.

2.2.1 (3) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

სწავლის შედეგების მისაღწევად და სწავლების უწყვეტობისთვის კოლეჯმა უზრუნველყოს ინტეგრირებული მოდულების პედაგოგების გადამზადება მოდულური სწავლების, შეფასების სისტემების და Teams პლატფორმის ეფექტურ გამოყენების საკითხებზე სწავლის დაწყებამდე.

VII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free

VIII ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	0612
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	N30 01.03.2021, ცვლილება N141 12.11.2021
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	17.06.2021 589531
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. კასპი, აღმაშენებლის 168ვ
პროგრამის განხორციელების ფორმა	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free

IX პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	მეტწილი შესაბამისობა
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		მეტწილი შესაბამისობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კასპის კოლეჯის გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ შეესაბამება, კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სსიპ კასპის კოლეჯის მისიაა რეგიონში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა და ხარისხიანი განათლების მიწოდება, რეგიონისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამა ეხმიანება კოლეჯის მისიას, რომელიც მრავალპროფილურია.

კოლეჯის მიერ მიზანშეწონილობა დასაბუთებულია **კონცეპტუალურ, რესურსულ, ეკონომიკურ და ოპერაციულ ჭრილში.** კონცეპტუალური მიზანშეწონილობის წყაროებად გამოყენებულია: შრომის ბაზრის ანალიზი. 2020წ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მოთხოვნადი პროფესიების ჩამონათვალი, რეგიონულ ჭრილში. 2021. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

2021 წლის იანვარში, სსიპ კასპის კოლეჯმა, ახალი პროგრამების დამატების ფარგლებში, ჩაატარა კვლევა დამსაქმებლებთან, რომელმაც გამოკვეთა კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროგრამის აქტუალობა და მოთხოვნა პროგრამაზე დამსაქმებლების მხრიდან. გამოკითხული დამსაქმებლების 75% ამომბდა, რომ სჭირდება კადრი აღნიშნული მიმართულებით

ასევე კოლეჯმა **ჩაატარა შრომის ბაზრის მოთხოვნების და საჭიროების კვლევა** 2021 წელს. გამოკითხულ იქნა კასპის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მე-8, მე-9, მე-10 კლასის მოსწავლეები. სულ გამოიკითხა 389 რესპონდენტი. გამოკითხვამ აჩვენა რომ მოსწავლეების 84%-ს სურს ამ პროფესიის არჩევა მომავალში და სიამოვნებით ისწავლიდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება, ხოლო არაინტეგრირებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება.

დაწესებულებას რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით არ გააჩნია. აპლიკანტები პროგრამაზე შეირჩევიან მოტივაციური გასაუბრებით. პროგრამის განხორციელების ვადა სამი წელია. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველჰყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველჰყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

პსდ-ში არსებობს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის №25 ბრძანებით, რომლის საფუძველზეც დაწესებულებამ შეიმუშავა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგია პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენა ეფუძნება A, B და C სასწავლო გარემოს, მატერალურ-ტექნიკურ აღჭურვილობებს, მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ფინანსურ რესურსებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამით და ინტეგრირებული მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, გამოყოფილია A, B და C გარემო. სასწავლო გარემო უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით და ინტეგრირებული მოდულებით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით და საგანმანათლებლო რესურსით. საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამით და ინტეგრირებული მოდულებით გათვალისწინებული ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები " არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს;

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი" თანახმად პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსი პირია დაწესებულების დირექტორი - „შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე"

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. N30 01.03.2021. ცვლილება N141 12.11.2021

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არ შეცვლილა და იგივეა რაც კონცენტრაციის დასახელება ჩარჩო დოკუმენტში. იგი სრულად შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარსს, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არაა შეცდომაში შემყვანი.

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროგრამა შემუშავებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №170/ნ 2019 წლის 19 აგვისტოს „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კასპის კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება დამტკიცებულია სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 14 დეკემბრის N10 ბრძანებით
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებისა და ცვლილების აქტები
- მიზანშეწონილობის დასაბუთება
- კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის მოდულები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free

- სასწავლო პროცესისი მარეგულირებელი წესი - ჩარიცხვის ნაწილი (თავი მეორე) დამტკიცებულია სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 თებერვლის №10 ბრძანებით
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი, დამტკიცებულია სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №3 ბრძანებით
- აპლიკანტთა მოტივაციური გასაუბრების ფორმები
- ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- ზღვრული რაოდენობა კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის
- პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის ფორმა
- პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსის კატალოგი
- გასაუბრებები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული პროგრამის კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შედეგები მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსებით

A გარემო -გამოყოფილია აუდიტორია მხოლოდ კომპიუტერული ქსელისა და სისტემებისათვის 20 პროფესიულ სტუდენტზე. A გარემოში განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა, კომპიუტერი (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), კარადა.

B გარემო -აუდიტორია #200 - განთავსებულია 21 პერსონალური კომპიუტერი, 20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის, ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. განხორციელდა 21 კომპიუტეტის შეკეთება და ოპერატიული მეხსიერების გაზრდა სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. აუდიტორიაშივეა განლაგებული დარგობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი, სტანდარტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free
გათვალისწინებული ყველა აღჭურვილობა (Cisco-ს კომუტატორები/მარშუტიზატორები, ქსელის ინსტრუმენტები და სხვა.) ოთახშივეა მოწყობილი სერვერი.

C გარემო - აუდიტორია 106 - ინტეგრირებული სწავლებისათვის. ინტეგრირებული მოდულებისთვის - მეცნიერება და ტექნოლოგიები(ლაბორატორია -ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) საჭირო მატერიალური რესურსი შესყიდვის პროცესშია და შესაბამისად დაწესებულებას, დირექტორის 15.11.2021 წლის N142 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები და თარიღები. როგორც კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა თითქმის ყველა ნივთი შეძენილია გარდა სამი ნივთისა, შესყიდული ნივთები ინახება მომწოდებელთან და ყველა ნივთის შესყიდვის დასრულების შემდეგ მომწოდებელი ერთიანად უზრუნველყოფს შესყიდული მასალების მიტანას კოლეჯში იანვრის ბოლოს.

C გარემოსთვის ასევე შესყიდულია და ადგილზეა გამწოვი კარადა, გამწოვი, ნიჟარა. წყლის შეყვანა და გამწოვის დამონტაჟება ჯერ არ განხორციელებულა, რადგან წინა წლის ბიუჯეტის სრულად ათვისება მოხდა და ელოდებიან ახალი 2022 წლის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფას.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ინტეგრირებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, როგორც ზოგად, ისე დარგობრივ მოდულებზე, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია, ასევე, **ინტეგრირებული მოდულების 11 მასწავლებელთან.**

პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობიდან ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტის მიღება. პროგრამაში დასაქმებულია ჯამში 26 პროფესიული მასწავლებელი. მასწავლებელთა რაოდენობის **შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან არის 26/20** რაც უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულებას გაფორმებული აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free
ხელშეკრულება პროფესიული დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ 2 პირთან, რომელთა სამუშაო დატვირთვა არ აღემატება კვირეულ 40 სთ-ს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პსდ-ში დასაქმებული პროფესიულ მასწავლებლებად შერჩეული არიან დარგის სპეციალისტები და მათ პარალელურად უტარდებათ ტრენინგები, რითაც ეუფლებიან შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მიდგომებს. კოლეჯის მიერ პროგრამაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებლებს კვალიფიკაცია უდასტურდებათ სამუშაო გამოცდილებით და დიპლომით.

ინტეგრირებულის მოდულის მასწავლებლებთან, რომლებიც ახალი აყვანილები არიან ჩატარდა დარგობრივი მიმართულებით ტრენინგები „უწყვეტი პროფესიული განათლების ცენტრის“ მიერ. იანვრის ბოლოს და თებერვლის დასაწყისში დაგეგმილია ტრენინგების ჩატარება ინტეგრირებული მოდულების სწავლების სპეციფიკაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ხარისხის მართვის მენეჯერს დაგეგმილი აქვს შიდა ტრენინგების ჩატარება ინტეგირებულის პედაგოგებსათვის მოდულური სწავლების და შეფასების სისტემებზე, რაც ასახული აქვს 2022 წლის ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმაში.

რეკომენდაცია - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად კოლეჯმა უზრუნველყოს ინტეგრირებულის პედაგოგებისათვის შიდა ტრენინგების ჩატარება მოდულური სწავლების, შეფასების სისტემების და "Teams პლატფორმის ეფექტურ გამოყენებაზე პროგრამის სწავლების დაწყებამდე.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება სამუშაო გამოცდილებით და ტრენინგებზე მიღებული სერთიფიკატებით. პროგრამის ხელმძღვანელი ასევე არის CISCO-ს ინსტრუქტორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

პსდ-ში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი **(გარდა ინტეგრირებულის მოდულების)** ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. **ინტეგრირებული მოდულების საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ნაბეჭდი სახით. ელექტრონული ვერსია ჯერ არ არსებობს დაწესებულება გეგმავს სწავლების დაწყებამდე ყველა მასალის გაციფრულებას.**

პ.ს.დ.-ს ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სასწავლო რესურსი, (ინტეგრირებულის მხოლოდ ნაბეჭდი ფორმით) რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული სასწავლო რესურსი დატანილა CD დისკზე, ასევე- ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც ხდება, მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის კატალოგი.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებაში სასწავლო ფართი/ინფრაქსტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებების შესაბამისად (ბილიკი უსინათლოებისათვის, ლიფტი, ადაპტირებული სველი წერტილები ეტლით მოსიარულეთათვის)

კოლეჯის პროფესიული **საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით** განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები **„წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free

რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას და შესაბამისად, აზუსტებს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას“. მარეგულირებელი წესით ასევე განსაზღვრულია თუ რა იგულისხმება დამატებით მომსახურეობაში - „ **საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფით“**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური ბიუჯეტი გაკეთებულია: კერძოდ: პროგრამის ბიუჯეტი, შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამული დაფინანსება, ხარჯებში- მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან), სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯები, ადმინისტრირების ხარჯი, კომუნალური ხარჯი. აღნიშნული ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 9 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით
- თანხის გამოყენების ნებართვის დოკუმენტებით მატერიალური რესურსის შესყიდვასთან დაკავშირებით
- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 136; დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი 4 ოქტომბერი 2021 წელი
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N190; 15.12.2021 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free

- კოლეჯის A_B_C გარემოების დათვალიერებით
- პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის აქტით
- სსიპ კასპის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესით - მუხლი 3 პროგრამის ხელმძღვანელი, დამტკიცებულია სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №3 ბრძანებით
- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით
- მასწავლებლების პირადი საქმეებით
- ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმით
- ბიბლიოთეკის კატალოგით
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფის ნაწილი (თავი მეცხრე) დამტკიცებულია სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 თებერვლის №10 ბრძანებით
- პროგრამის ბიუჯეტით
- გასაუბრებით

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია

PDF Eraser Free

XI თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. სსიპ კასპის კოლეჯში ადმინისტრაციული წარმოების დისტანციურად განხორციელების განრიგი

19.01.2022

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: იაზონ დანელია